დანართი №2

NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
# საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

## შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი

"ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი);

"ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი);

"ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი);

"ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი).

შეფასების თარიღ(ებ)ი
30.09.2024- 01.10.2024

დასკვნის წარდგენის თარიღი

18.02.2025

თბილისი

შინაარსი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 206169304 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ / ორგანიზაცია / ქვეყანა) | კარსტენ ლორენცი, მაინცის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი, გერმანია |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ნანული ოქრუაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ნათია დაღელიშვილი, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ / ორგანიზაცია / ქვეყანა) | სოფო გვრიტიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ /ორგანიზაცია /ქვეყანა) | სოფიო უგრეხელიძე, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, საქართველო |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 | პროგრამა 3 | პროგრამა 4 |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ბიზნესის ადმინისტრირება | ბიზნესის ადმინისტრირება | ბიზნესის ადმინისტრირება | ბიზნესის ადმინისტრირება |
| უმაღლესი განათლების საფეხური | საბაკალავრო | საბაკალავრო | საბაკალავრო | საბაკალავრო |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413 | მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413 | მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413 | მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1] | - | - | - | - |
| სწავლების ენა | ქართული | ინგლისური | ქართული | ინგლისური |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 კრედიტი | 240 კრედიტი | 180 კრედიტი | 180 კრედიტი |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული 28.11.2019, N222 | აკრედიტებული 23.06.2017, N28 | ახალი | ახალი |

1 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**[2]

აკრედიტაცია შპს ქართულ - ამერიკულ უნივერსიტეტში მოიცავს კლასტერში დაჯგუფებულ ოთხ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას:

1. "ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი);
2. "ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი);
3. "ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი);
4. "ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს ქართულ - ამერიკულ უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 30 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გამართა შეხვედრები ადმინისტრაციის თანამშრომლებთან, თვითშეფასების ჯგუფის წევრებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის მართვის სამსახურთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და სოციალურ პარტნიორებთან. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სალექციო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიები. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამები მხარდაჭერილია ადეკვატური საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსებით. აღნიშნული რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე პერსონალისთვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ოთხივე პროგრამა შესაბამისობაშია მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტის მოთხოვნებთან. ოთხივე პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია პირველი სტანდარტის მოთხოვნებთან. პროგრამა 1 და პროგრამა 3 მეტწილად შესაბამისობაშია მე-2 სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო პროგრამა 2 და პროგრამა 4 შესაბამისობაშია მე-2 სტანდარტის მოთხოვნებთან.

---

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

## რეკომენდაციები

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები შემდეგია:

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისას გათვალისწინებული იყოს მხოლოდ პროგრამის სავალდებულო კურსები. ამჟამად, აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებულია არჩევითი კურსები, რაც არ შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, ვინაიდან სწავლის შედეგების ლოგიკური პროგრესია (გაცნობა → გაღრმავება → განმტკიცება) არ არის თანმიმდევრულად წარმოდგენილი. მაგალითად, არსებული რუკის თანახმად, მე-9 სწავლის შედეგი არის გაცნობილი და გაღრმავებული, მაგრამ არ არის განმტკიცებული, ხოლო მე-7 სწავლის შედეგი ჯერ განმტკიცებულია და შემდეგ გაღრმავებული, რაც ალოგიკურია და ა.შ.
- რეკომენდებულია, მე-5 და მე-7 სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, "საფინანსო ინსტიტუტების რისკების მართვის შესავალი" და "ლიდერობის შესავალი" განისაზღვროს პროგრამის სავალდებულო კურსებად.
- რეკომენდებულია პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება კურსში ინტეგრირებული პრაქტიკული აქტივობების სახით. ეს კომპონენტი უნდა განვითარდეს მისი მიზნების, შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად. ეს უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას, განსაკუთრებით „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის" ნაწილში.
- რეკომენდებულია, დაზუსტდეს გარკვეული კურსების წინაპირობები. მაგალითად, ცოდნის და უნარების ლოგიკური პროგრესიის უზრუნველსაყოფად, კურსს "ფინანსური ანალიზი და სესხის სტრუქტურირება" წინაპირობად უნდა განესაზღვროს "კორპორაციული ფინანსების საფუძვლები".
- რეკომენდებულია, რომ სტაჟირების ობიექტებთან და დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში გათვალისწინებული იყოს სტუდენტთა რაოდენობა, რათა პროგრამის ყველა სტუდენტს ჰქონდეს საკმარისი პრაქტიკის შესაძლებლობა.
- რეკომენდებულია პროფესიული პრაქტიკის კურსის სტატუსის შეცვლა და მისი განსაზღვრა როგორც სავალდებულო კურსი პრაქტიკული უნარების განვითარების თვალსაზრისით.
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის პერსონალისთვის ჩაატაროს დამატებითი შეხვედრები და ვორქშოფები, რათა გააძლიეროს მათი მონაწილეობა და ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში. გარდა ამისა, რეკომენდებულია განხორციელდეს სხვადასხვა გამოკითხვების შედეგად შეგროვებული მონაცემების საფუძვლიანი ანალიზი და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან და მენეჯერებთან

განხილვა, იმისათვის, რომ მოხდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესება.

"ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი).

- რეკომენდებულია, სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ენობრივი კომპეტენციის თვალსაზრისით შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლება - სწავლის რესურსებს. კერძოდ, "ბიზნესის ადმინისტრირების" 240 კრედიტიანი და 180 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამების პირველ კურსზე, ინგლისურენოვანი ლიტერატურის ნაცვლად უნდა მიეთითოს ქართულენოვანი ლიტერატურა ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და საგნის ლექტორმა უნდა უზრუნველყონ სტუდენტებისთვის ქართულენოვანი რიდერის მომზადება.

"ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი).

არ არის მითითებული

"ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი).

- რეკომენდებულია, სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ენობრივი კომპეტენციის თვალსაზრისით შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლება - სწავლის რესურსებს. კერძოდ, "ბიზნესის ადმინისტრირების" 240 კრედიტიანი და 180 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამების პირველ კურსზე, ინგლისურენოვანი ლიტერატურის ნაცვლად უნდა მიეთითოს ქართულენოვანი ლიტერატურა ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და საგნის ლექტორმა უნდა უზრუნველყონ სტუდენტებისთვის ქართულენოვანი რიდერის მომზადება.

"ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი).

არ არის მითითებული

რჩევები:

კლასტერის ზოგადი რჩევები შემდეგია:

- სასურველია, სამომავლოდ კვლევითი საქმიანობის გაძლიერების და სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით, უსდ - მ წაახალისოს კლასტერში წარმოდგენილი ოთხივე პროგრამის ბაკალავრიატის სტუდენტები მონაწილეობა მიიღონ კვლევით აქტივობებში (როგორიცაა კონფერენციებში მონაწილეობა) და მეტ სტუდენტს მისცეს სტიმული დაწეროს საბაკალავრო ნაშრომი.
- სასურველია, პროგრამების სწავლის შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებმა რეგულარულად შეამოწმონ, მოიცავს თუ არა მოდულების სწავლის შედეგების შეფასებები (როგორც წერით გამოცდებში) მოდულების აღწერილობებში განსაზღვრულ ყველა სწავლის შედეგს.
- სასაურველია, უსდ - ს სხვა პროგრამებიდან ან უცხოური უსდ - ს ეკვივალენტური დონის პროგრამიდან არჩევითი კურსებისთვის განკუთვნილი 12 კრედიტი ჩანაცვლდეს სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომით, იმისათვის, რომ უფრო მეტად იყოს უზრუნველყოფილი სტუდენტების კვლევითი, პროფესიული და პრაქტიკული უნარების განვითარება. უსდ-მ ამგვარად უნდა წაახალისოს 240 კრედიტიანი პროგრამის ბაკალავრიატის სტუდენტების კვლევითი საქმიანობა, იმისათვის, რომ პირველი კვლევითი გამოცდილება მიიღონ საბაკალავრო საფეხურზე სწავლის პერიოდში და გააგრძელონ აღნიშნული საქმიანობა სამაგისტრო საფეხურზეც.
- სასურველია, გაძლიერდეს თანამშრომლობა კერძო სექტორთან: სტუდენტებისთვის მენტორობის უზრუნველყოფის მიზნით, დარგის ექსპერტების, წარმატებული მეწარმეების და აკადემიური პერსონალის ჩართვა. აღნიშნული ხელმძღვანელობა დაეხმარება სტუდენტებს იდეების საწარმოდ ჩამოყალიბების მთელი პროცესის განმავლობაში, ჩამოყალიბებიდან განხორციელებამდე.
- სასურველია, პროგრამის განვითარება შეფასდეს პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უცხოელი დარგის ექსპერტების მიერ. პროგრამის განვითარებას ასევე ხელს შეუწყობდა უცხოური საგანმანათლებლო პროგრამების ანალოგებთან შედარება.
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს პროგრამის მონიტორინგის მექანიზმები, სადაც რაოდენობრივი მონაცემები იქნება შინაარსობრივი ანალიზის საფუძვლი, რაც ასევე, უზრუნველყოფს სრულყოფილ თვისებრივ შეფასებებსაც.

"ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი).

- მიუხედავად იმისა, ბიზნეს სკოლისთვის გონივრულია პრაქტიკული ორიენტაცია, შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას სამეცნიერო ასპექტების გაძლიერება და

ბაკალავრიატის სტუდენტების მომზადება სამომავლო სამაგისტრო ნაშრომისთვის საბაკალავრო ნაშრომის ან მსგავსი სამუშაო დოკუმენტის მომზადების მოთხოვნით.

**"ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი).**

**არ არის მითითებული**

**"ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი).**

- სასურველია, არსებული პროგრამის 180 კრედიტზე მორგების მიზნით, ამოღებულ იქნას 240 კრედიტიანი პროგრამის მე - 4 კურსის არჩევითი კურსები. ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ეს კურსები არ არის აღიარებული სტუდენტის მიერ. სტუდენტების სამომავლო შეფასებების საფუძველზე უნდა შემოწმდეს, საჭიროა თუ არა მეტი არჩევითი კურსი პროგრამის მიზნის მისაღწევად - მოამზადოს მაღალი აკადემიური და ეთიკური სტანდარტების მქონე კვალიფიციური სპეციალისტები.

**"ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი).**

- სასურველია, პროგრამის 180 კრედიტზე მორგების მიზნით, ამოღებულ იქნას 240 კრედიტიანი პროგრამის მე - 4 კურსის არჩევითი კურსები. ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ეს კურსები არ არის აღიარებული სტუდენტის მიერ. სტუდენტების სამომავლო შეფასებების საფუძველზე უნდა შემოწმდეს, საჭიროა თუ არა მეტი არჩევითი კურსი პროგრამის მიზნის მისაღწევად - მოამზადოს მაღალი აკადემიური და ეთიკური სტანდარტების მქონე კვალიფიციური სპეციალისტები.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას გაეგზავნა დასკვნის პროექტი. 2025 წლის 2 თებერვლით დათარიღებულ წერილში ქართულ-ამერიკულმა უნივერსიტეტმა წარმოადგინა თავისი არგუმენტები. წერილის თანახმად მე-2, მე-5 და მე-6 ზოგადი კლასტერის რეკომენდაციებს უნივერსიტეტი დაეთანხმა და მიიღო, ხოლო მე-8 რეკომენდაციას - ნაწილობრივ.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულების წერილის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა მე-4 და მე-7 რეკომენდაციებთან დაკავშირებული არგუმენტები და შეცვალა მათი ფორმულირება ზემოაღნიშნული სახით. ყველა სხვა რეკომენდაცია შეტანილია საბოლოო დასკვნაში, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ისინი მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის.

ინდივიდუალური პროგრამების შემთხვევაში მე-9 და მე-10 რეკომენდაციების მიღებულ იქნა. უნივერსიტეტმა წარმოადგინა გარკვეული ცვლილებები მიღების წინაპირობებში და გაზარდა ინგლისური ენის მინიმალური ქულა ერთიან ეროვნულ გამოცდებში. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ქართულენოვანი პროგრამების შემთხვევაში მხოლოდ ზემოხსენებული ცვლილება არ უზრუნველყოფს რეკომენდაციის შესრულებას, რადგან სტუდენტებს უწევთ უცხოენოვან პროფესიულ ლიტერატურასთან მუშაობა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიუხედავად, მათ შესაძლოა გაუჭირდეთ სწავლა. აქედან გამომდინარე უნივერსიტეტმა სილაბუსში უნდა მიუთითოს შესაბამისი სავალდებულო ქართულენოვანი ლიტერატურა.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[3]
2. კლასტერული შეფასება[4]

| სტანდარტი / კომპონენტი | შეფასების მიდგომები: |
|---|---|
| **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** | |
| 1.1. პროგრამის მიზნები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | კლასტერული |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | |
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | კლასტერული |
| 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | კლასტერული |
| 2.4. სტუდენტების შეფასება | კლასტერული |
| **3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** | |
| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | კლასტერული |
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | კლასტერული |
| **4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** | |
| 4.1. ადამიანური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |

[3] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[4] **შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

| | |
|---|---|
| 4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 და 2 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამები (240 კრედიტი))

ორივე პროგრამას გააჩნია ერთი და იგივე მიზნები, შინაარსი, სტრუქტურა და მოდულები და ისწავლება ქართულ ან ინგლისურ ენაზე. შესაბამისად, შესაძლებელია ორივე პროგრამის ერთად შეფასება.

შპს ქართულ - ამერიკულ უნივერსიტეტში ქართულენოვანი პროგრამა ხორციელდება 2009 წლიდან. პროგრამის ინგლისურენოვანი ვერსია ფუნქციონირებს 2017 წლიდან.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად (გვ. 11 და შემდგომი გვერდები) ორივე პროგრამის მიზნებია:

კურსდამთავრებულებისთვის ფართო ცოდნის მიწოდება "ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში, რაც მათ საშუალებას მისცემს გააანალიზონ ბიზნეს პრობლემები და მოამზადონ საკითხები ისეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც იძლევიან ბიზნესის ეფექტური ფუნქციონირების და მისი შემდგომი განვითარების გარანტიას";

კურსდამთავრებულების აღჭურვა იმ მეთოდოლოგიებით, რომლებიც გამოიყენება ბიზნეს პრობლემების აღმოფხვრაში წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების საფუძველზე; და

მაღალი აკადემიური და ეთიკური სტანდარტების მქონე კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ეფექტურად იმუშაონ ბიზნეს სფეროში და დანერგონ თანამედროვე მეთოდები.

ორივე პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკაზე და სტუდენტების ბიზნესში სამუშაოდ მომზადებაზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ორიენტაცია შეიძლება გონივრული იყოს ბიზნეს სკოლისთვის, სასურველია უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს სამეცნიერო ასპექტების გაძლიერება და ბაკალავრიატის სტუდენტების მომზადება სამომავლო სამაგისტრო ნაშრომისთვის 240 კრედიტიანი პროგრამების ფარგლებში საბაკალავრო ნაშრომის ან მსგავსი სამუშაო დოკუმენტის მომზადების მოთხოვნით.

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს საბაკალავრო დონეზე ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს სპეციფიკას. ისინი რეალისტურია 4 წლიანი პროგრამისთვის და განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარების და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც პროგრამა ისახავს მიზნად კურსდამთავრებულებში.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 და 4 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების (180 კრედიტი))**

ორივე პროგრამას გააჩნია ერთი და იგივე შინაარსი, სტრუქტურა და მოდულები და ისწავლება ქართულ ან ინგლისურ ენაზე. აღნიშნული დადასტურდა პროგრამის პედაგოგებთან შეხვედრის დროსაც. შესაბამისად, შესაძლებელია მათი ერთად შეფასება.

საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე და ევროპის მრავალი 180 კრედიტის მოცულობის საბაკალავრო პროგრამის გათვალისწინებით, უსდ-მ შეიმუშავა ორი ახალი 180 კრედიტიანი პროგრამა.

მიუხედავად იმისა, რომ 180 და 240 კრედიტიანი პროგრამები საკმაოდ მსგავსია, უსდ გეგმავს სტუდენტებს შესთავაზოს ორივე პროგრამა. ადმინისტრაციასთან შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ბაზრის კვლევების საფუძველზე 180 კრედიტიანმა პროგრამამ შესაძლოა მოიზიდოს მეტი უცხოელი სტუდენტი და შედეგად ხელი შეუწყოს სტუდენტთა მობილობასაც. ვინაიდან ევროპული საგანმანათლებლო პროგრამების უმეტესობა 180 კრედიტიანია, აღნიშნული იქნება მნიშვნელოვანი ფაქტორი მომავალში. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ სხვა კონკურენტებიც განახორციელებენ 180 და 240 კრედიტიან პროგრამებს. უსდ - ს განცხადებით, სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია და იძლევა ორივე ალტერნატივის დაფარვის შესაძლებლობას. სწავლის პერიოდში დასაქმებულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სურთ სწავლის უფრო ადრე

დასრულება და სრულ განაკვეთზე მუშაობის დაწყება. თუმცა,  180 კრედიტიანი პროგრამა შეიძლება მიჩნეულ იქნას  სასურველ ალტერნატივად სტუდენტებისთვის.

არსებული პროგრამის 180 კრედიტზე მორგების მიზნით, ძირითადად ამოღებულ იქნა 240 კრედიტიანი პროგრამის მე-4 წლის არჩევითი კურსები.  ადმინისტრაციულ პერსონალთან შეხვედრაზე აღინიშნა, რომ აღნიშნული არჩევითი კურსები "არ არის აღიარებული სტუდენტების მიერ".  სტუდენტების მიერ კურსების და პროგრამის სამომავლო შეფასებების საფუძველზე უნდა შემოწმდეს, საჭირო არის თუ არა მეტი არჩევითი კურსის დამატება იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას პროგრამის მიზნები მოამზადოს მაღალი აკადემიური და ეთიკური სტანდარტების მქონე კვალიფიციური სპეციალისტები.

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს საბაკალავრო დონეზე ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს სპეციფიკას.  საერთო ჯამში, ისინი რეალისტურია 3 წლიანი პროგრამისთვის და განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარების და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც პროგრამა ისახავს მიზნად კურსდამთავრებულებში.

კლასტერთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ კლასტერში გაერთიანებული ოთხივე პროგრამა ლოგიკურად არის ურთიერთდაკავშირებული, შეესაბამება სწავლის სფეროებს და ვითარდება უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურების მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ოთხივე პროგრამა, დანართები და სილაბუსები;
- დანართი პროგრამის სწავლის შედეგების რუქა;
- სილაბუსები;
- პროგრამების სასწავლო გეგმები (დანართები);
- კურსების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- გასაუბრებების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

*რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:* გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით.

**პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი))**

**რეკომენდაციები: არ არის მითითებული**

**რჩევები:**

- მიუხედავად იმისა, ბიზნეს სკოლისთვის გონივრულია პრაქტიკული ორიენტაცია, შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას სამეცნიერო ასპექტების გაძლიერება და ბაკალავრიატის სტუდენტების მომზადება სამომავლო სამაგისტრო ნაშრომისთვის საბაკალავრო ნაშრომის ან მსგავსი სამუშაო დოკუმენტის მომზადების მოთხოვნით.

**პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი))**

**რეკომენდაციები: არ არის მითითებული**

**რჩევები:**

**პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი))**

**რეკომენდაციები: არ არის მითითებული**

**რჩევები:**

- სასურველია, არსებული პროგრამის 180 კრედიტზე მორგების მიზნით, ამოღებულ იქნას 240 კრედიტიანი პროგრამის მე - 4 კურსის არჩევითი კურსები. ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ეს კურსები არ არის აღიარებული სტუდენტის მიერ. სტუდენტების სამომავლო შეფასებების საფუძველზე უნდა შემოწმდეს, საჭიროა თუ არა მეტი არჩევითი კურსი პროგრამის მიზნის მისაღწევად - მოამზადოს მაღალი აკადემიური და ეთიკური სტანდარტების მქონე კვალიფიციური სპეციალისტები.

**პროგრამა 4 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი))**

**რეკომენდაციები: არ არის მითითებული**

**რჩევები:**

- სასურველია, პროგრამის 180 კრედიტზე მორგების მიზნით, ამოღებულ იქნას 240 კრედიტიანი პროგრამის მე - 4 კურსის არჩევითი კურსები. ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ეს კურსები არ არის აღიარებული სტუდენტის მიერ. სტუდენტების სამომავლო შეფასებების საფუძველზე უნდა შემოწმდეს, საჭიროა თუ არა მეტი არჩევითი კურსი პროგრამის მიზნის მისაღწევად - მოამზადოს მაღალი აკადემიური და ეთიკური სტანდარტების მქონე კვალიფიციური სპეციალისტები.

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| **კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი) | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 4. "ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამების სამი მიზანი, როგორც წარმოდგენილია 1.1 კომპონენტის აღწერილობით ნაწილში, სრულდება პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევით. დანართში მოცემული "მიზნების და შედეგების რუკის" ცხრილი აჩვენებს, თუ რომელი სწავლის შედეგი მიიღწევა ჩამოთვლილი სწავლის შედეგებით.

თვითშეფასების ანგარიშში (გვერდები 13 - 15) ჩამოთვლილია ოთხივე საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგი ათი სწავლის შედეგი. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, კურსდამთავრებულები მიაღწევენ ყველა შემდეგ სწავლის შედეგს:

1) განიხილავს ბიზნესის მართვის ძირითად თეორიებს და კონცეფციებს; აღწერს სფეროსთან დაკავშირებულ პრობლემებს და განსაზღვრავს აღნიშნული პრობლემების გადაჭრის რელევანტურ გზებს;

2) დეტალურად აღწერს ბიზნესის მართვის სფეროში არსებულ გამოწვევებს და ფუნქციურ სფეროში მიმდინარე მოვლენებს და ბიზნეს პროცესებს;

3) აანალიზებს ორგანიზაციის საქმიანობას მათემატიკური, სტატისტიკური და ბიზნეს მოდელირების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, შეიმუშავებს პრობლემის გადაჭრის სტრატეგიებს და გასცემს რეკომენდაციებს ბიზნესის ფუნქციურ სფეროებთან დაკავშირებით;
4) წარმოადგენს ბიზნესის ღირებულების კონცეფციას და იყენებს მისი გაზომვის მეთოდებს;
5) გამოავლენს ბიზნესში არაპროგნოზირებად / გაურკვეველ გარემოებებთან დაკავშირებულ რისკებს და განსაზღვრავს რისკების მართვის გზებს;
6) ლექტორის ხელმძღვანელობით ბიზნესის მართვაში ახორციელებს კვლევით და პრაქტიკულ პროექტებს და წარადგენს კონტექსტის შესაბამისი ტექნიკური ფორმატით;
7) გუნდური მუშაობისას მოქმედებს ლიდერობის და თანამშრომლობის პრინციპების შესაბამისად;
8) ეთიკური ნორმების დაცვით და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, აკადემიური და პროფესიული აუდიტორიის წინაშე თვალსაჩინოდ წარადგენს ბიზნესთან დაკავშირებულ იდეებს, არსებულ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს;
9) აფასებს ორგანიზაციის სოციალურ საქმიანობას, გეგმავს განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს ბიზნეს პრობლემების გადაჭრის მიზნით და ეთიკური პრინციპების დაცვით წარმოაჩენს მათი განხორციელების გზებს;
10) გეგმავს საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების და შემდგომი სწავლის საჭიროებების გზებს.

მთლიანობაში, სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ისე, რომ დაფაროს პროგრამების მიზნები. მომდევნო წლებში, ახალი 180 კრედიტიაინი და არსებული 240 კრედიტიანი პროგრამების განხორციელებისას, შესაძლებელია შემოწმდეს, თუ რამდენად მიიღწევა ათივე სწავლის შედეგი. სწავლის შედეგების უმეტესობა ასახულია მოდულების აღწერილობებში. ვინაიდან ოთხივე პროგრამის ფარგლებში საბაკალავრო ნაშრომი არ არის სავალდებულო, მხოლოდ მცირე რაოდენობის სტუდენტი წერს ნაშრომს. აღნიშნული დაადასტურეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა უსდ - ში განხორციელებული შეხვედრების დროს. ასევე, აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში დადასტურდა, რომ არც სტუდენტები და არც კურსდამთავრებულები არ მონაწილეობდნენ კვლევით პროექტებში. შესაბამისად, მე - 6 სწავლის შედეგის მისაღწევად საჭიროა კვლევითი აქტივობის ასპექტის გაუმჯობესება.

უნდა აღინიშნოს რამდენიმე საკითხი, რომელიც შეიძლება განვითარდეს:
"მიზნების და შედეგების რუკის" ცხრილის საფუძველზე, პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას ყველა პროგრამა ითვალისწინებს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით კურსებს. აღნიშნული მიდგომა არ შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს, რომლებიც მოითხოვს მხოლოდ სავალდებულო კურსების გათვალისწინებას.

პროგრამის სწავლის შედეგების რუკა არ არის თანმიმდევრული, განსაკუთრებით სწავლის შედეგების ლოგიკურ პროგრესიაში (გაცნობა → გაღრმავება → განმტკიცება). მაგალითად, მე-9 სწავლის შედეგი არის გაცნობილი და გაღრმავებული, მაგრამ არ არის განმტკიცებული, მაშინ როცა მე-7 სწავლის შედეგი ჯერ მტკიცდება და შემდეგ ღრმავდება, რაც არ შეესაბამება მოსალოდნელ პროგრესიას.

მთლიანობაში, ოთხივე საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია საქართველოს კანონის "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ", საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69 / ნ ბრძანებით დამტკიცებული განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად. ისინი ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და პრაქტიკის სპეციფიკასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ოთხივე პროგრამა, დანართები და სილაბუსები;
- სილაბუსები;
- დანართი პროგრამის სწავლის შედეგების რუქა;
- პროგრამების სასწავლო გეგმები (დანართები);
- კურსების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;

გასაუბრებების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისას გათვალისწინებული იყოს მხოლოდ პროგრამის სავალდებულო კურსები. ამჟამად, აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებულია არჩევითი კურსები, რაც არ შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, ვინაიდან სწავლის შედეგების ლოგიკური პროგრესია (გაცნობა → გაღრმავება → განმტკიცება) არ არის თანმიმდევრულად წარმოდგენილი. მაგალითად, არსებული რუკის თანახმად, მე-9 სწავლის შედეგი არის გაცნობილი და გაღრმავებული, მაგრამ არ არის განმტკიცებული, ხოლო მე-7 სწავლის შედეგი ჯერ განმტკიცებულია და შემდეგ გაღრმავებული, რაც ალოგიკურია და ა.შ.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

სასურველია, სამომავლოდ კვლევითი საქმიანობის გაძლიერების და სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით, უსდ-მ წაახალისოს კლასტერში წარმოდგენილი ოთხივე პროგრამის ბაკალავრიატის სტუდენტები მონაწილეობა მიიღონ კვლევით აქტივობებში (როგორიცაა კონფერენციებში მონაწილეობა) და მეტ სტუდენტს მისცეს სტიმული დაწეროს საბაკალავრო ნაშრომი.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი | ☐ | X | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი) | | | | |
| პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4. "ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი) | ☐ | X | ☐ | ☐ |

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ოთხივე პროგრამას გააჩნია ერთნაირი მიზნები და სწავლის შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები განსაზღვრულია ერთნაირად. შესაბამისად, შესაძლებელია ოთხივე პროგრამის ერთად გაანალიზება.

დანართში წარმოდგენილი "საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის" დოკუმენტის თანახმად, სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას უკვე გათვალისწინებულია სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმები და მეთოდოლოგია.

სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდოლოგიები (იხილეთ თვითშეფასების ანგარიში, გვერდი 16). აღნიშნული დადასტურდა

პროგრამების აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას. პირდაპირი შეფასების მეთოდები მოიცავს წერით გამოცდებს, ზეპირ გამოკითხვას, პროექტებს, პორტფოლიოებს, ნაშრომებს, პრეზენტაციებს, სიმულირებულ პროცესებს და სხვა. არაპირდაპირი შეფასების მეთოდები მოიცავს დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტების გამოკითხვებს, მსგავს დაწესებულებებთან შედარებას, სასწავლო გეგმის ანალიზს და სხვა.

სტუდენტების პერსპექტივიდან, აკადემიური მოსწრების ანალიზი ადგენს საგანმანათლებლო კომპონენტებისთვის მინიჭებული კრედიტების, შერჩეული თემების, ლიტერატურის, სწავლების მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების და ა.შ. შესაბამისობას.

პროგრამების აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ ყველა სწავლის შედეგის შემოწმება ხორციელდება შუალედურ ან საბოლოო გამოცდებზე. აკადემიურმა პერსონალმა დაასახელა სწავლის შედეგების შემოწმების სხვადასხვა გზები, როგორიცაა პრეზენტაციები განხილვებით ან წერითი გამოცდები. გარდა ამისა, სტუდენტები ერთვებიან ლექციებში ნაშრომების მომზადებით, ნაშორმზე დაფუძნებული ქვიზებით, შუალედური და საბოლოო გამოცდებით.

უნივერსიტეტის დონეზე, ხარისხის მართვა ამოწმებს სწავლის შედეგების შეფასებას და ნიშნების განაწილებას. ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდება სტუდენტების აკადემიური მიღწევების ანალიზი. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად (გვერდი 16), აღნიშნული ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწეული დონის დადგენას. შეფასება ხორციელდება სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულის ანალიზით. სწავლის შედეგის მითითებული დიაპაზონიდან 20% - იანი გადახრის შემთხვევაში, სასწავლო კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის რეკომენდაციის საფუძველზე, პროგრამის კოორდინატორთან და სხვა ლექტორებთან ერთად მოხდება პროგრამების სწავლის შედეგების და მათი მიღწევის გზების გადახედვა.

შინაარსობრივი შეფასება მოწმდება პროგრამების ხელმძღვანელის მიერ. პროგრამების ყველა სწავლის შედეგის სრულად შესრულების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებისთვის შეიძლება სასარგებლო იყოს რეგულარულად შემოწმდეს, თუ რამდენად ფარავს მოდულების სწავლის შედეგების შეფასებები (როგორც წერით გამოცდებში ან შეფასების სხვა ფორმებში) მოდულების აღწერილობებში განსაზღვრულ ყველა სწავლის შედეგს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროცესი შეიძლება გამოყენებული იყოს ყველა კურსისთვის, ყოველი სემესტრის ბოლოს მინიმუმ, შერჩეულმა კურსებმა უნდა გაიარონ მოცემული შეფასება. როდესაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის კოორდინატორთან თანამშრომლობით განიხილავს გამოცდის შინაარსს და შეფასების მეთოდებს სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დასადასტურებლად და აანალიზებს სტუდენტების მოსწრების მონაცემებს, აღნიშნული უზრუნველყოფს უფრო ზუსტ წარმოდგენას სტუდენტების მიერ სწავლის მიზნების მიღწევის შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- დოკუმენტი - "საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმი" ;
- ოთხივე პროგრამა, დანართები და სილაბუსები;
- დანართი პროგრამის სწავლის შედეგების რუქა;
- სილაბუსები;
- პროგრამების სასწავლო გეგმები (დანართები);
- კურსების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- გასაუბრებების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:**

სასურველია, პროგრამების სწავლის შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებმა რეგულარულად შეამოწმონ, მოიცავს თუ არა მოდულების სწავლის შედეგების შეფასებები (როგორც წერით გამოცდებში) მოდულების აღწერილობებში განსაზღვრულ ყველა სწავლის შედეგს.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით.

პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი))

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი))

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი))

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 4 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი))

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა (180 კრედიტი) | | | | |
| პროგრამა 4. "ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი) | X | ☐ | ☐ | ☐ |

### 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

➢ პროგრამა შედგენილია უსდ- ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**
**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 და 2 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების (240 კრედიტი))**

პროგრამა 1 და 2 შეიძლება შეფასდეს ერთად, ვინაიდან ორივე პროგრამას გააჩნია ერთნაირი შინაარსი, სტრუქტურა და მოდულები და ისწავლება ქართულ ან ინგლისურ ენაზე. აღნიშნული დადასტურდა პროგრამის პედაგოგებთან შეხვედრის დროსაც.

ოთხივე საბაკალავრო პროგრამა ეფუძნება ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემას. პირველ და მეორე პროგრამაში ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციის მისაღებად სტუდენტმა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნდა დააგროვოს 240 კრედიტი.

ორივე 240 კრედიტიანი პროგრამა შედგება სავალდებულო კურსებისგან (ძირითადი კურსები), ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი არჩევითი კურსებისგან და თავისუფალი კომპონენტებისგან.

პროგრამების ხანგრძლივობაა 4 წელი - 8 სემესტრი. აკადემიური წლის განმავლობაში სტუდენტები აგროვებენ 60 კრედიტს - 30 კრედიტს სემესტრის განმავლობაში. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად

(გვერდი 18), წელიწადში სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე მეტი ან ნაკლები, მაგრამ არა უმეტეს 75 კრედიტისა.

პროგრამების სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამების სასწავლო გეგმები სტრუქტურირებულია ისე, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად და მნიშვნელოვანი პროფესიული კომპეტენციების შესაძენად უზრუნველყოს თანმიმდევრული პროგრესია მარტივიდან კოგნიტური ცოდნის უფრო რთულ დონემდე.

ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი ძირითადი კურსების ფარგლებში სტუდენტები აგროვებენ 138 კრედიტს. სასწავლო გეგმის მიხედვით, ძირითადი კურსები მოიცავს 23 მოდულს. პირველ სემესტრებში შეთავაზებულია ისეთი კურსები, როგორიცაა მიკროეკონომიკის პრინციპები, გამოყენებითი კალკულუსი, მაკროეკონომიკის პრინციპები, სტატისტიკა ბიზნესისთვის, სრული მათემატიკა, კორპორაციული ფინანსების საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები, მარკეტინგის პრინციპები, მონაცემთა ანალიზი, კორპორაციული ფინანსები ან მენეჯმენტის პრინციპები. ყველა ძირითადი მოდული არის 6 კრედიტიანი. პირველ სემესტრებში სტუდენტები შეისწავლიან ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლებს და იღრმავებენ ცოდნას ზედა სემესტრებში. აღნიშნული სტუდენტებს საშუალებას აძლევს ბიზნესის ადმინისტრირების ყველა რელევანტურ საკითხში მიაღწიონ ფართო და ღრმა კომპეტენციებს.

რაც შეეხება არჩევით კომპონენტებს, სტუდენტები აგროვებენ 36 კრედიტს ძირითადი სწავლის სფეროდან. უსდ სტუდენტებს სთავაზობს არჩევითი კურსების ფართო სპექტრს ფინანსების, მარკეტინგის, მენეჯმენტის, აუდიტის და აღრიცხვის სფეროებში. თითოეული სფერო მოიცავს 7 სხვადასხვა კურსს. ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებების ფარგლებში სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა განმარტეს, რომ მათ მოსწონდათ ACCA - ს მოდულები (აუდიტი და აღრიცხვა), თუმცა სხვა არჩევითი კურსებიც შედიან დეტალებში და საშუალებას აძლევენ სტუდენტებს მოემზადონ მომავალი კარიერისთვის.

ორივე პროგრამის ძირითადი და არჩევითი კურსები მოიცავებ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ყველა რელევანტურ თემას. ორივე პროგრამის სასწავლო გეგმა კარგად არის სტრუქტურირებული და უზრუნველყოფს თანმიმდევრულ პროგრესიას მარტივიდან კოგნიტური ცოდნის უფრო რთულ დონემდე, ისე რომ მიღწეულ იქნას სწავლის შედეგები და სტუდენტებმა შეიძინონ მნიშვნელოვანი თეორიული და პროფესიული კომპეტენციები. ორივე პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტების 36 კრედიტიდან, სტუდენტს შეუძლია 6 კრედიტი გამოიყენოს პრაქტიკული კომპონენტისთვის. აღნიშნული სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიღრმაონ ცოდნა, მოარგონ პროგრამის სტრუქტურა და მათი პირადი სასწავლო მიზნები. შესაბამისად, პროგრამების კვალიფიკაციები შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს.

სტუდენტებს ასევე შეუძლიათ უსდ - ს სხვა პროგრამებიდან ან უცხოური უსდ-ს ეკვივალენტური დონის პროგრამიდან აირჩიონ კურსები 12 კრედიტის ფარგელბში, თუ აღნიშნული კრედიტები დამტკიცებულია საქართველოს კანონმდებლობით. სტუდენტებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მათ

ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა აერჩიათ ისეთი კურსები, როგორიცაა ფილოსოფიის შესავალი, პოლიტიკური მეცნიერების შესავალი და ზოგადი ფსიქოლოგია. ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტს ურჩევს აღნიშნული არჩევითი კურსები ჩაანაცვლოს სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომით სტუდენტების პროფესიული და პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით.

თვითშეფასების ანგარიშის შეფასების და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე, გამოვლინდა რამდენიმე საკითხი, რომლებიც პროგრამის განვითარების მიზნით საჭიროებს ყურადღებას:

პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, კურსები "ფინანსური ინსტიტუტების რისკების მართვის შესავალი" და "ლიდერობის შესავალი" ამჟამად წარმოადგენს ძირითადი სასწავლო სფეროს არჩევითი კომპონენტების ნაწილს, სადაც სტუდენტები აგროვებენ 36 კრედიტს. ვინაიდან აღნიშნული კურსები არჩევითია კონკრეტული კონცენტრაციების ფარგლებში (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი ან აუდიტი), მათ არ შეუძლიათ უზრუნველყონ ყველა სტუდენტის მიერ მე-5 და მე-7 სწავლის შედეგების მიღწევა.

პროგრამის ამჟამინდელ სტრუქტურაში სტაჟირების კომპონენტი წარმოდგენილია არჩევითი სახით. შედეგად, მისი მიზნების, შინაარსის და სწავლის შედეგების გათვალისწინებით, მას არ შეუძლია ეფექტურად უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა, განსაკუთრებით "პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის" ნაწილში.

ზოგიერთი კურსის წინაპირობები საჭიროებს დაზუსტებას. მაგალითად, "ფინანსური ანალიზის და სესხის სტრუქტურირების" კურსის წინაპირობა უნდა იყოს "კორპორაციული ფინანსების საფუძვლები", იმისათვის, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ აუცილებელი საბაზისო ცოდნა უფრო სპეციალიზებული თემების შესწავლამდე.

სტუდენტებს შეუძლიათ დააგროვონ 12 კრედიტი ზემოხსენებული არჩევითი კურსების 36 კრედიტიდან საბაკალავრო ნაშრომის დაწერით. როგორც ლექტორებმა, კურსდამთავრებულებმა და სტუდენტებმა დაადასტურეს, სტუდენტები წარსულში იშვიათად ირჩევდნენ აღნიშნულ შესაძლებლობას. უსდ - მ შეიძლება მომავალში იმსჯელოს ბაკალავრიატის სტუდენტების კვლევითი აქტივობების სტიმულირებაზე, იმისათვის, რომ მათ მიიღონ პირველი კვლევითი გამოცდილება საბაკალავრო საფეხურზე სწავლის დროს და გააგრძელონ აღნიშნული აქტივობები სამაგისტრო საფეხურზეც.

## აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 და 4 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები (180 კრედიტი))

პროგრამა 3 და 4 შეიძლება შეფასდეს ერთად, ვინაიდან ორივე პროგრამას გააჩნია ერთნაირი შინაარსი, სტრუქტურა, მოდულები და ისწავლება ქართულ ან ინგლისურ ენაზე. აღნიშნული დადასტურდა პროგრამის პედაგოგებთან შეხვედრის დროსაც.

ოთხივე საბაკალავრო პროგრამა ეფუძნება ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემას. მესამე და მეოთხე პროგრამების ფარგლებში, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი.

ორივე 180 კრედიტიანი პროგრამა შედგება სავალდებულო (ძირითადი კურსები) და არჩევითი კურსებისგან, რომლებიც უკავშირდება ძირითად სწავლის სფეროს და თავისუფალ კომპონენტებს.

პროგრამების ხანგრძლივობაა 3 წელი - 6 სემესტრი. აკადემიური წლის განმავლობაში სტუდენტები აგროვებენ 60 კრედიტს - 30 კრედიტს სემესტრის განმავლობაში. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად (გვერდი 18), წელიწადში სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე მეტი ან ნაკლები, მაგრამ არა უმეტეს 75 კრედიტისა.

პროგრამების სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა სტრუქტურირებულია ისე, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად და მნიშვნელოვანი პროფესიული კომპეტენციების შესაძენად უზრუნველყოს თანმიმდევრული პროგრესია მარტივიდან უფრო რთულ კოგნიტურ ცოდნის დონემდე.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა სტრუქტურირებულია ისე, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად და მნიშვნელოვანი პროფესიული კომპეტენციების შესაძენად უზრუნველყოს თანმიმდევრული პროგრესია მარტივიდან უფრო რთულ კოგნიტურ ცოდნის დონემდე.

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებით სტუდენტები აგროვებენ 120 კრედიტს. სასწავლო გეგმის მიხედვით, სავალდებულო კურსები მოიცავს 20 მოდულს. პირველ სემესტრებში შეთავაზებულია ისეთი კურსები, როგორიცაა მიკროეკონომიკის პრინციპები, გამოყენებითი კალკულუსი, სრული მათემატიკა, ბიზნეს სტატისტიკა, მაკროეკონომიკის პრინციპები, მონაცემთა ანალიზი, მენეჯმენტის პრინციპები, მეწარმეობის საფუძვლები, კორპორაციული ფინანსების საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები, მარკეტინგის პრინციპები. ყველა ძირითადი მოდული არის 6 კრედიტიანი. პირველ სემესტრებში სტუდენტები შეისწავლიან ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლებს და იღრმავებენ ცოდნას ზედა სემესტრებში. აღნიშნული სტუდენტებს საშუალებას აძლევს ბიზნესის ადმინისტრირების ყველა რელევანტურ საკითხში მიაღწიონ ფართო და ღრმა კომპეტენციებს.

რაც შეეხება არჩევითი კომპონენტებს, სტუდენტები აგროვებენ 30 კრედიტს ძირითადი სწავლის სფეროდან. უსდ სტუდენტებს სთავაზობს არჩევითი კურსების ფართო სპექტრს ფინანსების, მარკეტინგის, მენეჯმენტის, აუდიტის და აღრიცხვის სფეროებში. თითოეული სფერო მოიცავს 5 სხვადასხვა კურსს. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტების 36 კრედიტიდან, სტუდენტს შეუძლია 6 კრედიტი გამოიყენოს პრაქტიკული კომპონენტისთვის. აღნიშნული სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიღრმაონ ცოდნა, მოარგონ პროგრამის სტრუქტურა და მათი პირადი სასწავლო მიზნები. ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა განმარტეს, რომ მათ 240 კრედიტიან პროგრამაში მოსწონდათ ACCA - ს მოდულები (აუდიტი და აღრიცხვა), რომელიც ასევე გათვალისწინებული იქნება 180 კრედიტიან

პროგრამაშიც, თუმცა სხვა არჩევითი საგნებიც შედიან დეტალებში და საშუალებას აძლევენ სტუდენტებს მოემზადონ მომავალი კარიერისთვის.

ორივე პროგრამის ძირითადი და არჩევითი კურსები მოიცავებ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ყველა რელევანტურ თემას. ორივე პროგრამის სასწავლო გეგმა კარგად არის სტრუქტურირებული და უზრუნველყოფს თანმიმდევრულ პროგრესიას მარტივიდან კოგნიტური ცოდნის უფრო რთულ დონემდე, ისე რომ მიღწეულ იქნას სწავლის შედეგები და სტუდენტებმა შეიძინონ მნიშვნელოვანი თეორიული და პროფესიული კომპეტენციები. ორივე პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტებს ასევე შეუძლიათ უსდ - ს სხვა პროგრამებისდან ან უცხოური უსდ - ს შესაბამისი დონის პროგრამიდან აირჩიონ კურსები 12 კრედიტის ფარგელბში, თუ აღნიშნული კრედიტები დამტკიცებულია საქართველოს კანონმდებლობით. გასაუბრებებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა აერჩიათ ისეთი კურსები, როგორიცაა ფილოსოფიის შესავალი, პოლიტიკური მეცნიერების შესავალი და ზოგადი ფსიქოლოგია. ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტს ურჩევს აღნიშნული არჩევითი კურსები ჩაანაცვლოს სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომით სტუდენტების პროფესიული და პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით.

ორივე პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირების ყველა შესაბამის თემას. ორივე პროგრამის შინაარსი და ორივე პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას.

თვითშეფასების ანგარიშის შეფასების და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე, გამოვლინდა რამდენიმე საკითხი, რომლებიც პროგრამის განვითარების მიზნით საჭიროებს ყურადღებას:

პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, კურსები "ფინანსური ინსტიტუტების რისკების მართვის შესავალი" და "ლიდერობის შესავალი" ამჟამად წარმოადგენს ძირითადი სასწავლო სფეროს არჩევითი კომპონენტების ნაწილს, სადაც სტუდენტები აგროვებენ 36 კრედიტს. ვინაიდან არნიშნული კურსები არჩევითია კონკრეტული კონცენტრაციების ფარგლებში (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი ან აუდიტი), მათ არ შეუძლიათ უზრუნველყონ ყველა სტუდენტის მიერ მე-5 და მე-7 სწავლის შედეგების მიღწევა.

პროგრამის ამჟამინდელ სტრუქტურაში სტაჟირების კომპონენტი წარმოდგენილია არჩევითი სახით. შედეგად, მისი მიზნების, შინაარსის და სწავლის შედეგების გათვალისწინებით, მას არ შეუძლია ეფექტურად უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა, განსაკუთრებით "პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის" ნაწილში.

ზოგიერთი კურსის წინაპირობები საჭიროებს დაზუსტებას. მაგალითად, "ფინანსური ანალიზის და სესხის სტრუქტურირების" კურსის წინაპირობა უნდა იყოს "კორპორაციული ფინანსების საფუძვლები", იმისათვის, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ აუცილებელი საბაზისო ცოდნა უფრო სპეციალიზებული თემების შესწავლამდე.

სტუდენტებს შეუძლიათ დააგროვონ 12 კრედიტი ზემოხსენებული არჩევითი კურსების 36 კრედიტიდან საბაკალავრო ნაშრომის დაწერით. როგორც ლექტორებმა, კურსდამთავრებულებმა და სტუდენტებმა დაადასტურეს, სტუდენტები წარსულში იშვიათად ირჩევდნენ აღნიშნულ შესაძლებლობას. უსდ - მ შეიძლება მომავალში იმსჯელოს ბაკალავრიატის სტუდენტების კვლევითი აქტივობების სტიმულირებაზე, იმისათვის, რომ მათ მიიღონ პირველი კვლევითი გამოცდილება საბაკალავრო საფეხურზე სწავლის დროს და გააგრძელონ აღნიშნული აქტივობები სამაგისტრო საფეხურზეც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- მოდულების აღწერილობა (დანართები);
- პროგრამების სასწავლო გეგმები (დანართები);
- ოთხივე პროგრამა, დანართები და სილაბუსები;
- სილაბუსები;
- დანართი პროგრამის სწავლის შედეგების რუქა;
- კურსების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- გასაუბრებების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

რეკომენდებულია, მე-5 და მე-7 სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, "საფინანსო ინსტიტუტების რისკების მართვის შესავალი" და "ლიდერობის შესავალი" განისაზღვროს პროგრამის სავალდებულო კურსებად.

რეკომენდებულია პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება კურსში ინტეგრირებული პრაქტიკული აქტივობების სახით. ეს კომპონენტი უნდა განვითარდეს მისი მიზნების, შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად. ეს უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას, განსაკუთრებით „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ ნაწილში.

რეკომენდებულია, დაზუსტდეს გარკვეული კურსების წინაპირობები. მაგალითად, ცოდნის და უნარების ლოგიკური პროგრესიის უზრუნველსაყოფად, კურსს "ფინანსური ანალიზი და სესხის სტრუქტურირება" წინაპირობად უნდა განესაზღვროს "კორპორაციული ფინანსების საფუძვლები".

**კლასტერის ზოგადი რჩევები:**

სასაურველია, უსდ - ს სხვა პროგრამებიდან ანუცხოური უსდ - ს ეკვივალენტური დონის პროგრამიდან არჩევითი კურსებისთვის განკუთვნილი 12 კრედიტი ჩანაცვლდეს სავალდებულო

საბაკალავრო ნაშრომით, იმისათვის, რომ უფრო მეტად იყოს უზრუნველყოფილი სტუდენტების კვლევითი, პროფესიული და პრაქტიკული უნარების განვითარება. უსდ - მ ამგვარად უნდა წაახალისოს 240 კრედიტიანი პროგრამის ბაკალავრიატის სტუდენტების კვლევითი საქმიანობა, იმისათვის, რომ პირველი კვლევითი გამოცდილება მიიღონ საბაკალავრო საფეხურზე სწავლის პერიოდში და გააგრძელონ აღნიშნული საქმიანობა სამაგისტრო საფეხურზეც.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით.

პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი))

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი))

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი))

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 4 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი))

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4. "ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი) | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- ➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებული ოთხივე პროგრამა წარმოადგენს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს. პროგრამა 1-სა და 2-ში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 ECTS კრედიტი პროგრამის ფარგლებში, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მისაღებად. პროგრამა 3-სა და 4-ში კი სტუდენტებმა 180 ECTS კრედიტი უნდა დააგროვონ პროგრამის ფარგლებში, რათა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაცია მიენიჭოთ.

240-კრედიტიან საბაკალავრო პროგრამებში სტუდენტები 138 კრედიტს (180-კრედიტიან საბაკალავრო პროგრამებში - 120 კრედიტს) აგროვებენ ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსებში. სავალდებულო კურსები მოიცავს 23 (20) მოდულს. რაც შეეხება არჩევით კომპონენტს, სტუდენტები აგროვებენ 36 (30) კრედიტს ძირითად სპეციალობაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობს არჩევითი კურსების ფართო არჩევანს, მათ შორის ფინანსების, მარკეტინგის, მენეჯმენტის, ასევე აუდიტისა და საბუღალტრო აღრიცხვის მიმართულებით. თითოეული მიმართულება მოიცავს 7 (5) სხვადასხვა კურსს.

მოდულების აღწერების საფუძველზე, პროგრამების სასწავლო გეგმებში ჩამოთვლილი ძირითადი და არჩევითი მოდულების შინაარსი უზრუნველყოფს მოდულების აღწერებში განსაზღვრული სწავლების შედეგების მიღწევას (იხ. მოდულების აღწერები დანართში) და ასახულია სწავლების შედეგების რუკებში (იხ. შესაბამისი დოკუმენტები დანართში).

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალების მხრივ, მოდულების აღწერებში ჩამოთვლილი ლიტერატურა უზრუნველყოფს პროგრამების სწავლების შედეგების მიღწევას. ცალკეულ კურსებში

შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს უფრო ახალი ლიტერატურა (მაგალითად,ფინანსური აღრიცხვის ორივე კურსში – „ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება“ და „ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები“, სახელმძღვანელოები იყო 2017 წლის და არ მოიცავდა ფინანსური აღრიცხვის სფეროს განვითარების უახლეს ტენდენციებს).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- მოდულების აღწერები (დანართი)
- ოთხივე პროგრამის სასწავლო გეგმები (დანართი)
- ოთხივე პროგრამის დანართები, პროგრამები და სილაბუსები
- სილაბუსები
- სწავლების შედეგების რუკის დანართი
- კურსის სწავლების შედეგების შეფასების შედეგები
- გასაუბრების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ქართულენოვანი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ინგლისურენოვანი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ქართულენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ინგლისურენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |

### პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| მათი შესაბამისობა პროგრამასთან | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ქართულენოვანი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ინგლისურენოვანი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი) | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ქართულ-ამერიკულმა უნივერსიტეტმა აკრედიტაციისთვის წარადგინა ოთხი საბაკალავრო პროგრამა, რომელთა დაშვების წინაპირობები ძირითადად მსგავსად არის განსაზღვრული. საბაკალავრო პროგრამებში გათვალისწინებული დაშვების წინაპირობები არის შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი. დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამები გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ხოლო აკრედიტაციის შემთხვევაში მათი განახლებული ვერსიებიც გამოქვეყნდება.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ქართულენოვანი) და პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი)

ბიზნესის ადმინისტრირების 240 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამისა (ქართულენოვანი) და ბიზნესის ადმინისტრირების 180 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამის (ქართულენოვანი) დაშვების წინაპირობები მსგავსად არის განსაზღვრული. შესაბამისად, ორივე პროგრამა ერთად არის აღწერილი და განხილული. დაშვების წინაპირობები შემდეგია:

აღნიშნულ პროგრამებზე ჩარიცხვა შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით, სადაც აბიტურიენტებმა უნდა ჩააბარონ გამოცდა ინგლისურ ენაში და უნდა მიიღონ საბოლოო ქულის მინიმუმ 40%.

ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა წარადგინოს ენის B1 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი. იმ აპლიკანტებს, რომელთაც ზოგადი განათლება მიიღეს ინგლისურ ენაზე, ენის სერტიფიკატის წარდგენა არ ევალებათ.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ინგლისურენოვანი) და პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი)

ბიზნესის ადმინისტრირების 240 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამის (ინგლისურენოვანი) და ბიზნესის ადმინისტრირების 180 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამის (ინგლისურენოვანი) დაშვების წინაპირობები შემდეგია:

აღნიშნულ პროგრამებზე ჩარიცხვა შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით, სადაც აბიტურიენტმა უნდა ჩააბარონ გამოცდა ინგლისურ ენაში და უნდა მიიღონ საბოლოო ქულის მინიმუმ 70%.

ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა წარადგინოს ენის B1 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა წარადგინოს ენის B1 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

იმ აპლიკანტებს, რომელთაც ზოგადი განათლება მიიღეს ინგლისურ ენაზე, ენის სერტიფიკატის წარდგენა არ ევალებათ. პროგრამის სასწავლო გეგმები მოიცავს ბიზნეს-ინგლისურს როგორც სავალდებულო კომპონენტს. ექსპერტთა ჯგუფის შეკითხვებზე პასუხად, პროგრამის

კოორდინატორებმა აღნიშნეს, რომ B1 დონე საკმარისია სტუდენტებისთვის, რათა ისინი ინგლისურენოვან სასწავლო პროცესს წარმატებით გაუმკლავდნენ. ბიზნეს-ინგლისურის სავალდებულო კურსები და ინგლისურ ენაზე ჩატარებული სასწავლო კურსები მათ ენის კომპეტენციების გაუმჯობესებაში ეხმარება. როგორც აღინიშნა, სტუდენტებს სწავლების პროცესში ინგლისურ ენასთან დაკავშირებით სირთულეები არ ჰქონიათ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა
- გასაუბრების შედეგები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ქართულენოვანი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ინგლისურენოვანი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ქართულენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ინგლისურენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებულ ოთხივე პროგრამაში, რომლებიც ქართულ ამერიკულ უნივერსიტეტში ხორციელდება (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (240 კრედიტი); ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა (240 კრედიტი); ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (180 კრედიტი); ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა (180 კრედიტი)), პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ ჩართვას კვლევით პროექტებში, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. სწავლების სხვადასხვა მეთოდოლოგიები, მათს შორის შემთხვევის შესწავლა, პრაქტიკული გაკვეთილები, სამუშაო ჯგუფებში ჩატარებული სემინარები და პრეზენტაციების მომზადება, უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

კლასტერში დაჯგუფებულ ოთხივე პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი ინტეგრირებულია როგორც სასწავლო კურსებში, ისე აქტიური პრაქტიკუმის სახით. ძირითადი სპეციალობის არჩევითი საგნებიდან (36 კრედიტი) სტუდენტს შეუძლია 6 კრედიტი პრაქტიკუმისთვის გამოიყენოს. კვლევითი კომპონენტი საბაკალავრო პროგრამებში არჩევითია (12 კრედიტი), ხოლო მისი მცირე ნაწილი ასევე ინტეგრირებულია სასწავლო კურსებში.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და თანამშრომლებთან გამართული ინტერვიუებისა და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე აშკარაა, რომ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა კომპანიასთან. თუმცა, პრაქტიკის ბაზებთან და დამსაქმებლებთან გაფორმებული შეთანხმებები/მემორანდუმები არ უწყობს ხელს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ამის მიზეზია ის, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი კომპონენტები, როგორიცაა პრაქტიკული კომპონენტი (6 ECTS კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომი (12 ECTS კრედიტი), კლასტერში დაჯგუფებულ ოთხივე პროგრამაში არჩევითია.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკის ბაზებთან და დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში არ არის გათვალისწინებული სტუდენტთა რაოდენობა. ეს შეიძლება გამოწვევად იქცეს პროგრამის ყველა სტუდენტისთვის პრაქტიკის საკმარისი ადგილების უზრუნველყოფის კუთხით.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო გეგმა:
- სილაბუსები;
- ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრება

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

რეკომენდებულია, რომ სტაჟირების ობიექტებთან და დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში გათვალისწინებული იყოს სტუდენტთა რაოდენობა, რათა პროგრამის ყველა სტუდენტს ჰქონდეს საკმარისი პრაქტიკის შესაძლებლობა.

რეკომენდებულია პროფესიული პრაქტიკის კურსის სტატუსის შეცვლა და მისი განსაზღვრა როგორც სავალდებულო კურსი პრაქტიკული უნარების განვითარების თვალსაზრისით.

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ქართულენოვანი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ინგლისურენოვანი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ქართულენოვანი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ინგლისურენოვანი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი) | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება- წავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებში სტუდენტებისათვის შემოთავაზებულია სავალდებულო და არჩევითი კურსების ფართო სპექტრი. ამ კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის საერთო

სწავლის შედეგებს და ასევე შესაბამისობაშია როგორც კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სახელმძღვანელო პრინციპებთან, ისე კრედიტების განაწილების მიმართულებით არსებულ მოთხოვნებთან, რომელიც რეგულირდება კანონით უმაღლესი განათლების შესახებ. პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს მოდულებს, რომლეთა საშუალებითაც მათ შეუძლიათ საკუტარი ცოდნის გაღრმავება ისეთ სფეროებში, როგორიცაა მარკეტინგი, მენეჯმენტი და ფინანსები. თითოეული კურსისათვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა დიდწილად დამოკიდებულია სტუდენტთა სამუშაო დატვირთვასა და დასაფარი მასალის მოცულობაზე.

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ოთხივე პროგრამაში, სასწავლო გეგმასა და სილაბუსებში მითითებული სწავლების მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს და დარგობრივ მახასიათებელს. სწავლების მეთოდები მოიცავს: ლექციას, სემინარს/სამუშაო ჯგუფს, პრაქტიკულ სწავლებას, აუდიო-ვიზუალური მასალების გამოყენებას, გონებრივ იერიშს, წყვილებში ან ჯგუფში მუშაობას, ელექტრონული რესურსებით სწავლას, დისკუსიასა და დებატებს, ასევე ჯგუფური ან/და ინდივიდუალური კვლევითი პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას.

ინტერაქციული აქტივობები, როგორიცაა ჯგუფური (თანამშრომლობითი) მუშაობა, დისკუსიები, დებატები, ანალიზი, სინთეზი, წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია, დემონსტრირება და აღწერა, ინკორპორირებულია სასწავლო პროცესში. გარდა ამისა, კურსები მოიცავს ინდივიდუალურ საშინაო დაველებებსა და ჯგუფურ დავალებებს, რაც სტუდენტებს ეხმარება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების, საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების, ასევე საჭირო ინფორმაციის პოვნისა და ანალიზის უნარების განვითარებაში. ინტერვიუებმა აჩვენა სტუდენტების მაღალი კმაყოფილება სწავლების მეთოდებით, განსაკუთრებით ანალიტიკური უნარების განვითარების კუთხით.

პროგრამა იყენებს სწავლებისა და სწავლის სტუდენტებზე ორიენტირებულ მეთოდებს, რომელიც შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. ყველა პროგრამა ხორციელდება სტუდენტებზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებით და თითოეული კურსის სილაბუსში მოცემულია სწავლება-სწავლის მეთოდების დეტალური აღწერა, რომელიც შეესაბამება კურსის სპეციფიკას, შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სწავლება-სწავლის მოცემული მეთოდების არჩევის ძირითადი მიზანია დაგეგმილ აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობის მაქსიმიზაცია.

ეს მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, ასევე როგორც სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის, ისე სტუდენტებს შორის ინტერაქციას. ისინი ასევე ხელს უწყობს სტუდენტების პასუხისმგებლობისა და ავტონომიის განვითარებას, სხვადასხვა უნარების, მათ შორის კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარების ფორმირების პროცესში.

სწავლების მეთოდები მოქნილი და სტუდენტების საჭიროებებზე ადაპტირებადია. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მზადყოფნის შესაბამისად, იქმნება და გამოიყენება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. საერთაშორისო სტუდენტების შემთხვევაში, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სტუდენტების კულტურულ და სხვა საჭიროებებს, სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების განსაზღვრისას, განსაკუთრებით ანალიტიკური უნარების განვითარების პერსპექტივიდან.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ელექტრონულ/დისტანციურ სწავლებას, რომელშიც გამოიყენება შესაბამისი დარგის სწავლების მეთოდები და არ ცვლის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს.

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამებში, ძირითად და არჩევით სასწავლო კურსებში სტუდენტებისთვის ძირითად სასწავლო ლიტერატურად ინგლისურენოვანი წყაროები გამოიყენება, რაც მოითხოვს სტუდენტებისგან ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნას. სტუდენტებთან ინტერვიუების მიხედვით, ლექტორები ლექციების დროს ასევე უზრუნველყოფენ საპრეზენტაციო მასალას ინგლისურ ენაზე. სტუდენტთა მიერ სასწავლო მასალის გააზრების პროცესში სირთულეების თავიდან აცილების მიზნით, რეკომენდებულია ტერმინოლოგიური სისტემის განვითარება.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო გეგმა:
- სილაბუსები;
- ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრება

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ქართულენოვანი)

**რეკომენდაციები:** რეკომენდებულია, სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ენობრივი კომპეტენციის თვალსაზრისით შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლება - სწავლის რესურსებს. კერძოდ, "ბიზნესის ადმინისტრირების" 240 კრედიტიანი და 180 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამების პირველ კურსზე, ინგლისურენოვანი ლიტერატურის ნაცვლად უნდა

მიეთითოს ქართულენოვანი ლიტერატურა ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და საგნის ლექტორმა უნდა უზრუნველყონ სტუდენტებისთვის ქართულენოვანი რიდერის მომზადება.

**რჩევები:**

პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი)

**რეკომენდაციები:** რეკომენდებულია, სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ენობრივი კომპეტენციის თვალსაზრისით შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლება - სწავლის რესურსებს. კერძოდ, "ბიზნესის ადმინისტრირების" 240 კრედიტიანი და 180 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამების პირველ კურსზე, ინგლისურენოვანი ლიტერატურის ნაცვლად უნდა მიეთითოს ქართულენოვანი ლიტერატურა ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და საგნის ლექტორმა უნდა უზრუნველყონ სტუდენტებისთვის ქართულენოვანი რიდერის მომზადება.

**რჩევები:**

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ქართულენოვანი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ინგლისურენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირების | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი) | | | | |

## 2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გასაუბრების დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ თითოეულ მათგანს აქვს წვდომა სასწავლო კურსის სილაბუსზე, რომელშიც კურსის დაწყებამდეა ასახულია შეფასების სქემა თითოეული კომპონენტისათვის. შესაბამისად, შეფასების პროცესი სტუდენტებისათვის გამჭვირვალეა.

შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები ძირითადად ერთგვაროვანია სხვადასხვა სასწავლო კურსებისთვის, თუმცა ამავდროულად, გათვალისწინებულია კონკრეტული დისციპლინების სპეციფიური მოთხოვნები. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება მათ მიღწევებს სწავლის პროცესში. შეფასების კომპონენტები მოიცავს სხვადასხვა მეთოდს, როგორიცაა ტესტები, პრეზენტაციები, გრაფიკული ნამუშევრები და სხვ. შეფასების თითოეული მეთოდი შეფასების კონკრეტული კრიტერიუმებით იზომება.

საერთო შეფასება შედგება ორი კომპონენტის: შუალედური შეფასებისა და საბოლოო შეფასებისაგან. თითოეული მათგანი მოიცავს შეფასების სხვადასხვა ელემენტებს, რომლებიც

შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან, მათ შორის წერით დავალებებს, ტესტებს, შემთხვევის შესწავლას, გუნდურ მუშაობას, პროექტებსა და წერით ან ზეპირ გამოცდებს. შეფასების თითოეულ ფორმას მინიჭებული აქვს კონკრეტული წილი ქულათა მთლიანი რაოდენობიდან (100). საბოლოო გამოცდისთვის განკუთვნილია 40 ქულა, ხოლო დარჩენილი 60 ქულა შუალედურ შეფასებას ეთმობა.

შუალედური შეფასების 60 ქულა შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ტესტს, აქტიურ მონაწილეობას სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებში. მაგალითად, მენეჯმენტის პრინციპების კურსები ეფუძნება თეორიულ მასალას, რომელიც პრაქტიკული დავალებებითა და შემთხვევის შესწავლით არის გამდიდრებული. სემესტრის განმავლობაში ლექტორი აფასებს სტუდენტთა მიერ მასალის გააზრებას ტესტებისა და პრეზენტაციების მეშვეობით. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებზე.

გარდა ამისა, ყოველკვირეული შეფასებები განსხვავდება სასწავლო კურსისა და მისი სპეციფიკური მოთხოვნების მიხედვით. მაგალითად, პოლიტიკის მეცნიერების შემთხვევაში შეფასების განაწილება მოიცავს აქტიურ მონაწილეობას (1 ქულა), პრაქტიკულ დავალებებს (4 ქულა) და სამეცნიერო ნაშრომებს (10 ქულა), ხოლო გამოყენებით მათემატიკაში შეფასება ტესტირების ფორმატში ხორციელდება. კურსის წარმატებით დასაძლევად სტუდენტებმა უნდა დააკმაყოფილონ როგორც შუალედური, ისე ფინალური შეფასების მინიმალური ზღვრები. შეფასების თითოეულ ფორმას გააჩნია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი – შუალედური შეფასებისთვის 25 ქულა, ხოლო საბოლოო შეფასებისთვის 16 ქულა. სტუდენტს მხოლოდ მაშინ ეძლევა საბოლოო გამოცდაზე გასვლის უფლება, თუ სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასებებიდან მინიმუმ 25 ქულას დააგროვებს. საბოლოოდ, სასწავლო კურსი ჩაითვლება გავლილად, თუ სტუდენტი მინიმუმ 51 ქულას დააგროვებს.

სტუდენტები იღებენ ყოველკვირეულ შეფასებებსა და უკუკავშირს ლექტორებისგან. მათ შესაძლებლობა აქვთ საკლასო სესიებზე ლექტორთან ერთად განიხილონ შუალედური შედეგები. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შიდა საუნივერსიტეტო ელექტრონულ პორტალს მასალებისა და სილაბუსების ატვირთვისა და ლექტორებსა და სტუდენტებს შორის

კომუნიკაციის გასამარტივებლად. გარდა ამისა, ლექტორები ამავე მიზნით იყენებენ Google Classroom-ს.

უნივერსიტეტი იყენებს პლაგიატის გამოვლენის პროგრამას (strikeplagiarism.com), თუმცა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ბოლო წლებში საბაკალავრო ნაშრომების დაცვა არ განხორციელებულა, რაც ზღუდავს ამ ინსტრუმენტის გამოყენებადობას სხვა სახის ნაშრომების შეფასებისთვის.

ასევე, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ შეფასების შედეგები ლექციების დროს განიხილება. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ქულას ასაჩივრებს, გასაჩივრების პროცესი გამჭვირვალეა და მოიცავს შეფასების გადამოწმებას ალტერნატიული ორგანოს მიერ. თუმცა, როგორც სტუდენტებმა, ისე ლექტორებმა აღნიშნეს, რომ შეფასების გასაჩივრების შემთხვევები ძალიან იშვიათია.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდები და კრიუტერიუმები
- ბიზნესის სკოლის დებულება
- სტუდენტების შეფასების ელექტრონული სისტემა/პორტალი;
- გასაუბრების შედეგები;

○

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ქართულენოვანი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ინგლისურენოვანი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ქართულენოვანი) | | | | |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ინგლისურენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |

### პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ქართულენოვანი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ინგლისურენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი) | ☐ | X | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 3.სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები, მუდმივად იღებენ შესაბამის კონსულტაციებსა და მხარდაჭერას შესაბამისი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან, სტუდენტების საგანმანათლებლო გზის დაგეგმვისა და აკადემიური წარმატების გაუმჯობესებისთვის. სტუდენტებთან ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა გასაუბრებამ აჩვენა, რომ აღნიშნული მიზნით დაწესებულება რეგულარულად აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს მიზნობრივ ჯგუფებთან.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციები მოიცავს სტუდენტთა კონსულტაციების საკითხებს, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, მიიღონ მათთვის საჭირო

ინფორმაცია მნიშვნელოვან საკითხებზე. კონსულტაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სილაბუსებში, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, ინდივიდუალური კონსულტაციის სესიები დაგეგმონ ლექტორებთან ანდა აკადემიური მენეჯერისგან მიიღონ დახმარება. ინტერვიუების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ კომუნიკაციის მხრივ არ ჰქონიათ დაბრკოლებები ლექტორებთან და ისინი ღიად გამოხატავენ მზაობას წამოჭრილი საკითხების განსახილველად. ამასთან, აკადემიური პერსონალი სტუდენტებს შესაბამის კონსულტაციებსა და მხარდაჭერას უწევს როგორც პირისპირ, ისე ონლაინ რეჟიმში.

უნივერსიტეტს ასევე გააჩნია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმა, რომელიც სტუდენტებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე აწვდის ინფორმაციას. სტუდენტებს წვდომა აქვთ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ რესურსებზე, რაც მათ საშუალებას აძლევს, ისარგებლონ სხვადასხვა მონაცემთა ბაზებით კამპუსიდან, და შესაბამისი ავტორიზაციის შემთხვევაში, საკუთარი სახლიდანაც.

საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ასევე სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტები და ღონისძიებები — როგორიცაა უნივერსიტეტისა და სხვადასხვა ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიები, გაცვლითი პროგრამები და სხვა ინიციატივები — სტუდენტებისთვის მარტივად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით. უნივერსიტეტი ხშირად მასპინძლობს მასტერკლასებსა და საჯარო შეხვედრებს, მათ შორის დისკუსიათა სერიას „GAU მომავლისთვის." ამ სერიის ფარგლებში გამორჩეულია ნანა მიქაშავიძის პრეზენტაცია თემაზე „ემოციური ინტელექტი და პიროვნული განვითარება," ქეთევან ჟვანიას „სად გადის ზღვარი PR-სა და მარკეტინგს შორის?" და არჩილ ჭეიშვილის მიერ ორგანიზებული ხელოვნური ინტელექტის ბუთქემფი, სახელწოდებით „ხელოვნური ინტელექტი აქტივების მენეჯმენტში." გარდა ამისა, როგორც თემატური, ისე არათემატური შეხვედრები, ვორქშოპები და მასტერკლასები უდავოდ

მნიშვნელოვანია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ უცხოელი სპიკერების ჩართვა ამ ღონისძიებებს მრავალფეროვნებას შესძენდა და კიდევ უფრო გაზრდიდა მათ მიმართ ინტერესს.

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამები აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტთა დასაქმებას. ინტერვიუებისა და შესაბამისი მასალების მიმოხილვის საფუძველზე დადგინდა, რომ უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს თანამშრომლობა სხვადასხვა კომპანიებთან, რომლებიც მასტერკლასებს ატარებენ კარიერული განვითარებისა და დასაქმების შესაძლებლობების შექმნის მიზნით. აღსანიშნავია თანამშრომლობა ისეთ ამერიკულ კომპანიებთან, როგორიცაა Lineate და Fireflies. გარდა ამისა, უნივერსიტეტი გეგმავს ახალი მარკეტინგული მასალებისა და პროექტების განხორციელებას, ასევე დასაქმების მასშტაბური ფორუმის ორგანიზებას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტსა და იუსტიციის სახლს შორის გაფორმებული მემორანდუმი, რომელიც პრაქტიკისა და დასაქმების შესაძლებლობებს ქმნის სტუდენტებისთვის.

უნივერსიტეტში დასაქმებულია აკადემიური მენეჯერი, რომელიც მხარდაჭერას უწევს სტუდენტებს და ინფორმაციას აწვდის სხვადასხვა საკითხებზე კონსულტაციების, ელფოსტის, ტექსტური შეტყობინებებისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით. აღნიშნული მენეჯერი ასევე კოორდინირებას უწევს შეხვედრებსა და კონსულტაციებს სტუდენტებსა და პროგრამის ხელმძღვანელს, ასევე კურატორულ ჯგუფს შორის.

გასაუბრებების და შესაბამისი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის განვითარებისა და შეფასების პროცესში. უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს შიდა გამოკითხვებს, რაც

სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, შეაფასონ საგანმანათლებლო პროგრამა და მისი განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტმა შეიმუშავა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების მოთხოვნებზე მორგების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული ინიციატივა უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ სასწავლო პირობებს, რაც თითოეულ სტუდენტს საშუალებას აძლევს მიიღოს მის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებული მხარდაჭერა. გასაუბრების დროს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მათ არ ჰყავთ მსგავსი საჭიროებების მქონე სტუდენტები, მათ წარსულში ჰქონიათ შესაბამისი ინდივიდუალური მხარდაჭერის მიწოდების გამოცდილება.

გასაუბრების თანახმად, ამ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან და შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და შეხვედრებში. თუმცა, გამოიკვეთა, რომ ამგვარ ღონისძიებებში მხოლოდ მცირე რაოდენობის სტუდენტები ერთვებიან. ეს მიუთითებს, რომ აკადემიური პერსონალის მხრიდან გაძლიერებული მხარდაჭერა და წახალისება ხელს შეუწყობდა სტუდენტების აქტიურ ჩართულობას მსგავს კონფერენციებსა თუ პროექტებში, რაც მნიშვნელოვნად გაამდიდრებდა მათ გამოცდილებას და ხელს შეუწყობდა ცოდნის გაზიარებას.

გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მეშვეობით. დოკუმენტაციის მიმოხილვამ და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ამ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები 2019-2024 წლებში მონაწილეობდნენ გაცვლით პროგრამებში და სხვადასხვა რაოდენობის სტუდენტები სწავლობდნენ ისეთ უნივერსიტეტებში,

როგორიცაა კასტილია-ლა მანჩა, ალკალა და კლაიპედა. კერძოდ, 2024 წელს სულ 11 სტუდენტი მონაწილეობდა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. აღნიშნულ ინიციატივებს მართავს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური და კოორდინაციას უწევს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს, მათ შორის Erasmus +, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთაშორისო მობილობას.

დაბოლოს, როგორც სტუდენტებმა, ისე კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ისინი ინფორმირებულები არიან სხვადასხვა სტუდენტური სერვისების შესახებ და დროულად იღებენ საჭირო მხარდაჭერას. მათ მოიყვანეს მაგალითები საკონსულტაციო საათებისა და ლექციების განრიგის მორგების შესახებ. თუმცა, მათ ასევე გამოხატეს სურვილი დამატებითი სივრცეების შექმნის შესახებ, რომელიც უფრო მეტად შეუწყობდა ხელს კომუნიკაციასა და ჯგუფურ მუშაობას.

**მტკიცებულება/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის აკადემიური მენეჯერის ფუნქციები
- ბზინესის სკოლის დებულება
- საკონსულტაციო სერვისები
- საგანმანათლებლო პროგრამების კურსების სილაბუსები
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან:
- გასაუბრების შედეგები;

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ქართულენოვანი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ინგლისურენოვანი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ქართულენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ინგლისურენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

➢ სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.

➢ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ შესრულების წინაპირობას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ქართულენოვანი) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ინგლისურენოვანი) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

### პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ქართულენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი, ინგლისურენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ქართულ-ამერიკულმა უნივერსიტეტმა დანერგა აკადემიური პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის სისტემა, „ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი“ (საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციები), რომელიც შეესაბამება საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოსა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს. ეს ორმაგი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ აკადემიურ თანამდებობებზე დაინიშნონ მხოლოდ კვალიფიციური პირები, რაც ხელს შეუწყობს როგორც სამართლებრივი შესაბამისობის შენარჩუნებას, ისე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მაღალი სტანდარტების დაცვას. ადგილზე ვიზიტის დროს, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების ანალიზის საფუძველზე, დადასტურდა, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას.

უნივერსიტეტის პრეზიდენტი აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, რომელშიც მითითებულია პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის ვაკანსიების რაოდენობა სპეციალობის მიხედვით.

ღია კონკურსის შესახებ ინფორმაცია და მისი შედეგები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:

- დოქტორის ხარისხი ან მისი ეკვივალენტი: კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სპეციალობის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი. გარდა ამისა, მათ შეიძლება დააკმაყოფილონ საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შესაბამის სფეროში მნიშვნელოვანი პროფესიული გამოცდილებისა და მაღალი დონის კვალიფიკაციის საფუძველზე, რაც დასტურდება სამუშაო გამოცდილებით, სერტიფიკატებითა და/ან შესაბამისი პუბლიკაციებით.

- სწავლებისა და კვლევის გამოცდილება: კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესაბამისი გამოცდილება სწავლებისა და კვლევის მიმართულებით, სადაც სამუშაო გამოცდილების საჭირო ხანგრძლივობა განისაზღვრება აკადემიური პოზიციის მიხედვით (მაგალითად, პროფესორისთვის – ექვსი წელი, ასოცირებული პროფესორისთვის – სამი წელი).

- აკადემიური წვლილი: კანდიდატებს გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეთ სტატიები სამეცნიერო ჟურნალებში და მონაწილეობა უნდა ჰქონდეთ მიღებული აკადემიურ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და კონგრესებში.

ასისტენტის პოზიციაზე კრიტერიუმები მოიცავს:

- დოქტორანტის სტატუსს ან პროფესიული კვალიფიკაციას: კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ დოქტორანტის სტატუსი ან ფლობდნენ მაღალი დონის კვალიფიკაციას შესაბამის სფეროში, რაც დასტურდება პროფესიული გამოცდილებით, განათლებით და/ან შესაბამისი პუბლიკაციებით.

ეს მოთხოვნები უზრუნველყოფს იმას, რომ ყველა კანდიდატი ავლენდეს მყარ საფუძველს როგორც ფორმალური კვალიფიკაციის, ისე პროფესიულ და აკადემიურ აქტივობებში ჩართულობის მეშვეობით.

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი სამუშაო დატვირთვის განრიგი ყოველ სემესტრში ახლდება. აღნიშნული სქემა მოიცავს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას, და ასევე ითვალისწინებს ყველა იმ დაწესებულებაში არსებულ სამუშაო დატვირთვას, სადაც მათ უკავიათ აკადემიური ან სამეცნიერო პოზიცია.

საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ლექტორები არიან სხვადასხვა მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორები, თანაავტორები, რედაქტორები და მთარგმნელები; მათ ასევე მონაწილეობა აქვთ მიღებული როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში.

კლასტერში შემავალი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის შერჩეულ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სტუდენტთა საერთო მოსაზრებით, ადამიანური რესურსები კარგად არის ორგანიზებული სასწავლო პროცესის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეს მოიცავს ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალსაც.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები ინარჩუნებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაბალანსებულ სტრუქტურას, რაც პროგრამების მდგრადობას უწყობს ხელს. საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები ფლობენ საჭირო ცოდნასა და ექსპერტიზას სასწავლო გეგმების განვითარებისათვის. მათი კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლებით ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში და ფართო პრაქტიკული გამოცდილებით.

აღწერა და ანალიზი

**ბიზნესის ადმინისტრირების 240 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამა;**

წარმოდგენილი რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 17 აფილირებული აკადემიური პერსონალი და 12 მოწვეული სპეციალისტი. აღსანიშნავია შეუსაბამობა პროფესორების რაოდენობის ჩანაწერებში: თანდართულ ფაილში „BBA კლასტერის დანართი ინფორმაცია რაოდენობრივი მონაცემების შესახებ“ თავდაპირველად მითითებული იყო 11 პროფესორი. თუმცა, ადგილზე ვიზიტის დროს, პროგრამის პერსონალმა დაადასტურა, რომ პროგრამაში ჩართული პროფესორების რაოდენობა 13 გახდა. აღნიშნული ცვლილება ასახავს პროგრამის საჭიროებების შესაბამისად განხორციელებულ კორექტივებსა და პერსონალის განაწილებას.

აკადემიური (20) და მოწვეული სპეციალისტების (12) თანაფარდობა ხელს უწყობს პროგრამის მდგრად განვითარებას. ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ქმნის მდგრად სტრუქტურას, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების თანმიმდევრულ ხარისხსა და სპეციალისტთა მრავალფეროვან ექსპერტიზას.

| **ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (240 კრედიტი)** | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული | პროგრამის პერსონალის რაოდენობა | დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალის ჩათვლით[1] | დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით[2] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პერსონალის ჩათვლით) | | | | |
